კონცეპტუალური ხელოვნება: ონ კავარას თარიღების სერია

გზამკვლევი

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

განათლების E სახლი

საფეხური: საბაზო

რესურსის მიზანი: შემოქმედებითი აზროვნებისა და ინტერპრეტაციის უნარის განვითარება.

სავალდებულო თემატური ბლოკი: ადამიანი ხელოვნებაში

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კეთებით სწავლების მეთოდი.

მოსალოდნელი შედეგი: შემოქმედებითი აზროვნებისა და ინტერპრეტაციის უნარი განვითარება, თვითდაკვირვება და გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირება.

რესურსის შესახებ

რესურსი შექმნილია იაპონელი არტისტის, ონ კავარას, თარიღების სერიის შესახებ. რესურსის გამოყენებისას მასწავლებლის მიზანია, ტექსტსა და პრეზენტაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეებს კონცეპტუალური ხელოვნების შესახებ წარმოდგენა შეუქმნას. შემოთავაზებული აქტივობებით კი შემოქმედებითი აზროვნება და ინტერპრეტაციის უნარი განუვითაროს.

კლასში განსახორციელებელი აქტივობა:

ნაბიჯი 1

გაკვეთილის ჩატარებამდე მასწავლებელი საკითხავ მასალასა (ტექსტსა) და პრეზენტაციას უნდა გაეცნოს. ტექსტში, "კონცეპტუალური ხელოვნება: ონ კავარას თარიღების სერია", საუბარია ზოგადად კონცეპტუალური ხელოვნების რაობასა და მნიშვნელობაზე. საკითხავ მასალაში ასევე წარმოდგენილია იაპონელი არტისტის შესახებ ინფორმაცია. ტექსტში განხილულია ონ კავარას შემოქმედების ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი მიმართულება - თარიღების სერია. გაკვეთილის მოსამზადებელ ეტაპზე მასწავლებლის მიზანია ტექსტისა და პრეზენტაციის დამუშავება.

ნაბიჯი 2

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი საკითხავ მასალასა და პრეზენტაციას დაამუშავებს შემდეგი ნაბიჯი გაკვეთილის ჩატარებაა. მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებისას მოსწავლეებს თემას აცნობს. შემდეგ კი იწყებს კითხვების დასმას: როგორ განმარტავდით, სიტყვა "კონცეფციას"? თქვენი აზრით, რას ნიშნავს კონცეპტუალური ხელოვნება? როგორი ტიპის ნამუშევრებს მიაკუთვნებთ კონცეპტუალურ ხელოვნებას? როგორ შეიძლება აღვიქვათ ხელოვნების ნიმუში, რომელზეც უბრალოდ თარიღი წერია? არის კი ასეთი ნამუშევარი ხელოვნება? რატომ? რომელ ეპოქას შეიძლება მივაკუთვნოთ ეს ნამუშევარი? რატომ ფიქრობთ ასე? როგორ განმარტავთ, რას ნიშნავს კონტექსტი? რა კავშირია ხელოვნების ნიმუშსა და იმ კონტექსტს შორის რომელშიც შეიქმნა? როგორ ფიქრობთ, ცვლის თუ არა უშულოად ნამუშევრის კონტექსტს მათი განსახვავებულ სივრცეებში გამოფენა?

ნაბიჯი 3

კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი პრეზენტაციის დახმარებით მოსწავლეებს ონ კავარას შესახებ უამობს და თარიღების სერიაზე ესაუბრება. მნიშვნელოვანია, რომ საუბრის დროს მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება გაუმახვილოს შემდეგ საკითხებზე: XX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ კონტექსტზე, კონცეპტუალური ხელოვნების წარმოშობასა და რაობაზე, ონ კავარას ბიოგრაფიაზე, თარიღების სერიის მნიშვნელობასა და მის სხვადასხვა სივრცეში მოწყობილ გამოფენებზე. მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს კონცეპტუალური ხელოვნებისა და ონ კავარას თარიღების სერიის შესახებ.

ნაბიჯი 4

მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს გაიხსენონ მათთვის მნიშვნელოვანი თარიღი. **აუცილებელი პირობაა, რომ თარიღი უკავშირდებოდეს მათ პირად გამოცდილებას.** ეს შეიძლება იყოს თავიანთი, ოჯახის წევრის, მეგობრის, ახლობლის დაბადების დღე, საყვარელი გუნდის გამარჯვების თარიღი, საყვარელი წიგნის, ანიმაციის/ფილმის გამოსვლის დღე, თვე წელი და ა.შ. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა გააფრთხილოს, რომ ფიქრის პროცესში თარიღი არ წამოიძახონ, რადგან პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შემდეგ ნამუშევრები კლასის წინაშე უნდა წარადგინონ და შერჩეულ თარიღზე ისაუბრონ.

ნაბიჯი 5

თარიღების მოფიქრების შემდეგ მოსწავლეები პრაქტიკულ დავალებაზე გადადიან. პრაქტიკული დავალების შესასრულებლად საჭიროა სახატავი რვეული და გუაშის საღებავები. მოსწავლეებმა ქაღალდი მონოქრომულად, მათთვის სასურველი ფერით უნდა დაფარონ, ხოლო საღებავის შეშრობის შემდეგ კი უკვე მოფიქრებული თარიღები დააწერონ. პრაქტიკული დავალების შესრულება ასევე შესაძლებელია ფერადი ფანქრების გამოყენებით ან ფერადი ფურცლების გამოჭრითა და მუყაოზე დაწებებით.

ნაბიჯი 6

დავალების შესრულების შემდეგი ეტაპი პრეზენტაციაა. მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ თავიანთი ნამუშევრები და ისაუბრონ თუ რატომ არის მათთვის მნიშვნელოვანი ესა თუ ის თარიღი. სასურველია, რომ აქტივობაში მონაწილეობა მასწავლებელმაც

მიიღოს[1]. მასწავლებელს შეუძლია შერჩეული თარიღი დაფაზე დაწეროს და მასზე ისაუბროს.

ნაბიჯი 7

პრეზენტაციის დასრულებისას მასწავლებელი მოსწავლეებს უკუკავშირს აძლევს. შემდეგ კი მოსწავლეებს ონ კავარას თარიღების სერიაზე დაფუძნებით პროექტის განხორციელებას სთავაზობს. პროექტის იდეა ასეთია: მოსწავლეებმა საქართველოს ისტორიიდან უნდა ამოარჩიონ კონკრეტული თარიღი, კლასში მიღებული გამოცდილებით შექმნან ნამუშევარი და თარიღის მნიშვნელობის შესახებ სტატია მოამზადონ. აქვე, მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ ონ კავარა თარიღებს ხშირად გაზეთებთან ერთად გამოფენდა. აღსანიშნავია, რომ საგაზეთო სტატიის მომზადება ისტორიის საგანთან ინტეგრაციასა და ხელოვნების გაკვეთილზე მედიაწიგნიერების, როგორც გამჭოლი კომპეტენციის, დაუფლებას ითვალისწინებს.

[1] მსგავსი აქტივობა 2019 წელს თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლაში“ ჩატარდა. მოსწავლეებს არტისტი, ლია ბაგრატიონი, შეხვდა. შეხვედრა ონ კავარასა და ლია ბაგრატიონის შემოქმედებაში არსებულ საერთო იდეებზე საუბარსა და ვორკშოპს დაეთმო. ვორკშოპის შესახებ იხილეთ დამატებითი ინფორმაცია ჟურნალში „ჰუმანიტარული განათლება“ გვ.48

https://educationhouse.ge/storage/books/Humanitaruli%20Ganatleba%20Skolashi-2023-2-UZXO%20ENEBI-11111_812.pdf